



Tax • Audit • Consulting

შპს ლუკა

ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ლუკას პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს ლუკას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, არ გამოვხატავთ მოსაზრებას ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

2022, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 4,988,557 ლარს, 5,287,700 ლარს და 5,522,377 ლარს შესაბამისად. ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას და ასევე ვერ შევძელით ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კომპანიის სააღრიცხვო შეფასებების სისწორეში დარწმუნება.

2022, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 6,106,420 ლარს, 8,555,081 ლარს და 5,812,416 ლარს, შესაბამისად. ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით მარაგების მუხლის სისწორეში.

2022, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 2,576,234 ლარს, 2,517,088 ლარს და 1,027,355 ლარს, შესაბამისად. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები რწმუნების მისაღებად სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლის

სისწორეზე.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ ძირითადი საშუალებების, მარაგებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ჩვენი დასკვნის აბზაცში „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“, ჩვენ ვერ შევძელით 2022, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შპს ლუკას ძირითადი საშუალებების, მარაგებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლებთან დაკავშირებით, შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებების შეტანა ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნა გამოგვეტანა იმის თაობაზე, შეიცავდა თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას ამ საკითხებთან მიმართებით.
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს“-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა. თუმცა ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“, განხილული საკითხების გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მამუკა მარდალეიშვილი
შპს თიემსი
09 თებერვალი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	5	23,231,305	21,788,937
ამონაგების თვითღირებულება		(18,506,294)	(14,987,849)
საერთო მოგება		4,725,011	6,801,088
მიწოდების ხარჯები	6	(202,384)	(133,189)
პერსონალის შენახვის ხარჯები	7	(1,152,452)	(1,074,453)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	11	(641,032)	(634,489)
სხვა საერთო ხარჯები	8	(654,886)	(560,192)
საოპერაციო მოგება		2,074,257	4,398,765
ფინანსური შემოსავალი	9	8,870	10,639
ფინანსური ხარჯები	9	(243,225)	(281,654)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	10	724,817	434,191
მოგება დაბეგვრამდე		2,564,719	4,561,941
მოგების გადასახადის ხარჯი		(373,952)	(161,927)
წლის მოგება		2,190,767	4,400,014
წლის სხვა სრული შემოსავალი		2,190,767	4,400,014

დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე

J. H. H.



სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	5	23,231,305	21,788,937
ამონაგების თვითღირებულება		(18,506,294)	(14,987,849)
საერთო მოგება		4,725,011	6,801,088
მიწოდების ხარჯები	6	(202,384)	(133,189)
პერსონალის შენახვის ხარჯები	7	(1,152,452)	(1,074,453)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	11	(641,032)	(634,489)
სხვა საერთო ხარჯები	8	(654,886)	(560,192)
საოპერაციო მოგება		2,074,257	4,398,765
ფინანსური შემოსავალი	9	8,870	10,639
ფინანსური ხარჯები	9	(243,225)	(281,654)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	10	724,817	434,191
მოგება დაბეგვრამდე		2,564,719	4,561,941
მოგების გადასახადის ხარჯი		(373,952)	(161,927)
წლის მოგება		2,190,767	4,400,014
წლის სხვა სრული შემოსავალი		2,190,767	4,400,014

დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	4,988,557	5,287,700	5,522,337
არამატერიალური აქტივები	11	467	503	655
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,989,024	5,288,203	5,522,992
წინასწარ გადახდილი გადასახადები		75,736	25,878	226,968
მარაგები	12	6,106,420	8,555,081	5,812,416
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,576,234	2,517,088	1,027,355
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	403,651	692,400	337,155
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,162,041	11,790,447	7,403,894
სულ აქტივები		14,151,065	17,078,650	12,926,886
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,200	5,200	200
გაუნაწილებელი მოგება		11,219,229	11,147,522	8,207,581
სულ საკუთარი კაპიტალი		11,224,429	11,152,722	8,207,781
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15	1,757,181	1,807,828	2,134,540
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,757,181	1,807,828	2,134,540
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	100,411	715,677	89,160
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	15	1,069,044	3,402,423	2,495,405
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,169,455	4,118,100	2,584,565
სულ ვალდებულებები		2,926,636	5,925,928	4,719,105
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14,151,065	17,078,650	12,926,886

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	8,207,581	8,207,781
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,400,014	4,400,014
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	5,000	-	5,000
დივიდენდები	-	(1,460,073)	(1,460,073)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,200	11,147,522	11,152,722
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,190,768	2,190,768
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
დივიდენდები	-	(2,119,061)	(2,119,061)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,200	11,219,229	11,224,429

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2022 ლარი	2021 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	27,223,395	25,477,199
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(19,563,014)	(20,610,640)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(869,652)	(802,012)
გადახდილი გადასახადები	(3,382,506)	(3,315,040)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3,408,223	749,507
ძირითადი საშუალებების შეძენა	312,775	210,661
მიღებული სახელმწიფო გრანტები	21,843	16,743
მიღებული პროცენტები	8,870	10,639
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	343,488	238,043
ცვლილებები მიღებულ სესხებში	(1,670,205)	1,046,011
გადახდილი პროცენტები	(243,225)	(281,654)
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	-	5,000
გადახდილი დივიდენდები	(2,119,062)	(1,387,069)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(4,032,491)	(617,712)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(280,780)	369,839
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(7,969)	(14,594)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	692,400	337,155
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	403,651	692,400

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ლუკა“ (შემდგომში „კომპანია“) (ს.კ.: 445395796) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 01.01.2022. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, ქალაქი ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა, N112/მელიქიშვილის ქუჩა, N98.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების იმპორტი, დამუშავება, მზა პროდუქციის მიღება და რეალიზაცია.

კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 45% - ნანული ბიბილეიშვილი
- 30% - ბადრი ჩხიკვაძე
- 10% - ჯაბა ქურიძე
- 10% - დავით ქურიძე
- 5% - ირაკლი ანუშიძე

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაზე სამხედრო თავდასხმამ ამ ორ ქვეყანას შორის ომი გამოიწვია, რის შედეგადაც ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.

უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან და ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს იგი ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებს შექმნილი ვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს კომპანიასა და ზოგადად ეკონომიკაში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე შექმნილ ახალ ვითარებას კომპანიაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ეს არის კომპანიის მიერ მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 აშშ დოლარი / ლარი	2.7020	3.0976	3.2766
1 ევრო / ლარი	2.8844	3.5020	4.0233

ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

გ) ამონაგები და სხვა შემოსავალი

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავალს:

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს რეალიზებული სამშენებლო მასალების და წარმოებული პროდუქციის ღირებულებას და აღიარდება საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში.

დ) გადასახადებიმიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	7-80 წელი
მანქანა-დანადგარები	2-15 წელი
საოფისე აღჭურვილობა	1-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	5-7 წლამდე

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვ) იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება, თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. ამონაგები

	2022	2021
	ლარი	ლარი
საქონლის რეალიზაცია	23,320,402	21,844,312
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(93,025)	(65,258)
ინვენტარიზაციის შედეგი	3,928	9,883
	23,231,305	21,788,937

6. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები მოიცავს რეალიზებული პროდუქციის ტრანსპორტირებას, რომელიც 2022 წლის მდგომარეობით შეადგენს 202,384 ლარს, ხოლო 2021 წლის მდგომარეობით - 133,189 ლარს.

7. პერსონალის შენახვის ხარჯები

	2022	2021
	ლარი	ლარი
შრომის ანაზღაურება	1,071,247	1,004,039
თანამშრომლების კვება	81,205	70,414
	1,152,452	1,074,453

8. სხვა საერთო ხარჯები

	2022 ლარი	2021 ლარი
მივლინების ხარჯი	161,344	134,431
რემონტის ხარჯი	112,191	94,784
კომუნალურები	80,789	70,083
სამეურნეო ხარჯი	57,272	45,966
ბანკის ხარჯი	56,331	46,706
დაზღვევის ხარჯი	47,529	45,475
ქონების გადასახადი	39,523	40,938
საკონსულტაციო ხარჯი	32,924	25,424
კომუნიკაციის ხარჯი	12,975	13,606
წარმომადგენლობითი ხარჯი	559	1,018
სხვა საერთო ხარჯი	53,449	41,761
	654,886	560,192

9. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	2022 ლარი	2021 ლარი
ფინანსური შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	8,870	10,639
	8,870	10,639
ფინანსური ხარჯები		
სესხების საპროცენტო ხარჯი	243,225	281,654
	243,225	281,654

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2022 ლარი	2021 ლარი
შედეგი საკურსო სხვაობიდან	731,113	270,647
მიღებული დაფინანსება	21,843	16,743
შემოსავალი ჯარტის რეალიზაციიდან	5,280	8,985
რეალიზებული ძირითადი საშუალების ჩამოწერა	-	17,531
სატრანსპორტო მომსახურებიდან შემოსავალი	-	64,826
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(94,254)	-
სხვა	60,835	55,459
	724,817	434,191

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მიწა	მიმდინარე მშენებლობა	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>							
2021 წლის 1 იანვარს	1,458,847	266,343	2,175,573	2,165,912	394,186	2,007,963	8,468,824
დამატებები	-	179,559	445,902	146,044	48,055	49,074	868,634
შიდა გადაცემები	-	(445,902)	-	-	-	-	
გასვლები	-	-	-	(28,371)	-	(22,654)	(51,025)
2021 წლის 31 დეკემბერს	1,458,847	-	2,621,475	2,283,585	442,241	2,034,383	8,840,531
დამატებები	-	102,305	22,148	78,655	55,447	190,936	449,491
შიდა გადაცემები	-	(23,556)	-	-	-	-	
გასვლები	-	-	-	-	(305)	(233,449)	(233,754)
2022 წლის 31 დეკემბერს	1,458,847	78,749	2,643,623	2,362,240	497,383	1,991,870	9,032,712
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>							
2021 წლის 1 იანვარს	-	-	385,279	1,569,188	153,794	838,226	2,946,487
ცვეთის ხარჯი	-	-	77,851	163,267	62,337	330,882	634,337
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(14,778)	-	(13,215)	(27,993)
2021 წლის 31 დეკემბერს	-	-	463,130	1,717,677	216,131	1,155,893	3,552,831
ცვეთის ხარჯი	-	-	87,202	172,050	77,412	304,331	640,995
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(168)	(149,503)	(149,671)
2022 წლის 31 დეკემბერს	-	-	550,332	1,889,727	293,375	1,310,721	4,044,155
<u>საბალანსო ღირებულება:</u>							
2021 წლის 1 იანვარს	1,458,847	266,343	1,790,294	596,724	240,392	1,169,737	5,522,337
2021 წლის 31 დეკემბერს	1,458,847	-	2,158,345	565,908	226,110	878,490	5,287,700
2022 წლის 31 დეკემბერს	1,458,847	78,749	2,093,291	472,513	204,008	681,149	4,988,557

კომპანიის შენობა-ნაგებობებისა (ღირებულებით - 1,108,236 ლარი) და მიწის (ღირებულებით - 574,702 ლარი) ნაწილი დატვირთულია იპოთეკის უფლები საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამები, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 467 ლარით, 503 ლარით და 655 ლარით, შესაბამისად.

12. მარაგები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
საქონელი	3,241,169	3,649,418	2,367,623
ნედლეული და მასალები	2,810,725	4,882,385	3,430,563
საწვავი	30,410	23,278	12,971
სხვა მარაგები	24,116	-	1,259
	6,106,420	8,555,081	5,812,416

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებდან	1,153,293	1,378,073	1,203,962
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	1,770,950	1,528,821	208,213
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(361,646)	(389,806)	(384,820)
სხვა მოთხოვნები	13,637	-	-
	2,576,234	2,517,088	1,027,355

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
ფული საბანკო ანგარიშებზე	357,554	664,819	184,892
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	46,097	27,581	152,263
	403,651	692,400	337,155

15. სასესხო ვალდებულებები

			2022	2021
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ლარი	ლარი
<u>გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
სესხები ბანკებისგან	GEL	14.5%	41,079	131,106
	USD	6.8%	1,092,633	959,955
	EUR	4.7%	623,469	716,767
			1,757,180	1,807,828

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:

			ლარი	ლარი
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	GEL	14.5%	90,027	79,109
	USD	6.8%	885,719	1,908,595
	EUR	4.7%	93,299	1,414,719
			1,069,045	3,402,423

16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2022	2021	2020
	ლარი	ლარი	ლარი
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	83,194	652,859	49,878
საპენსიო გადასახდელი	3,909	5,715	-
საპროცენტო ვალდებულება	13,308	31,949	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	-	25,154	39,282
	100,411	715,677	89,160

17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2022			
გაყიდვები	22,170	-	3,465,125
შესყიდვები	-	-	1,143,551
გამოცხადებული დივიდენდები	2,119,061	-	-
გადახდილი დივიდენდები	2,119,061	-	-
სახელფასო ხარჯები	-	64,865	-
გადახდილი ხელფასები	-	64,865	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	69,380	-	-

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2021			
გაყიდვები	21,289	-	4,380,097
შესყიდვები	40,408	-	461,572
გამოცხადებული დივიდენდები	1,460,073	-	-
გადახდილი დივიდენდები	1,460,073	-	-
სახელფასო ხარჯები	-	64,500	-
გადახდილი ხელფასები	-	64,500	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56,859	-	-

18. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და

იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2022	2021
	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	805,284	988,267
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	403,651	692,400
	1,208,935	1,680,667

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

2022

ფინანსური ვალდებულებები:

	1 -12 თვემდე ლარი	12 თვეზე მეტი ლარი	სულ ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	1,757,181	1,757,181
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,069,044	-	1,069,044
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	100,411	-	100,411
	1,169,455	1,757,181	2,926,636

2021

ფინანსური ვალდებულებები:

	1 -12 თვემდე ლარი	12 თვეზე მეტი ლარი	სულ ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	1,807,828	1,807,828
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	3,402,423	-	3,402,423
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	715,677	-	715,677
	4,118,100	1,807,828	5,925,928

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2022				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	805,284	805,284
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22,309	353	380,989	403,651
	22,309	353	1,186,273	1,208,935
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,092,633	623,469	41,079	1,757,181
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	885,718	93,299	90,027	1,069,044
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,367	2,012	93,032	100,411
	1,983,719	718,779	224,138	2,926,636
წმინდა სავალუტო პოზიცია	(1,961,410)	(718,426)	962,136	(1,717,701)
	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2021				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	988,267	988,267
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	46,163	10,382	635,854	692,400
	46,163	10,382	1,624,121	1,680,667
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	959,955	716,767	131,106	1,807,828
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,908,595	1,414,719	79,109	3,402,423
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	398,831	2,444	314,402	715,677
	3,267,380	2,133,931	524,617	5,925,928
წმინდა სავალუტო პოზიცია	(3,221,217)	(2,123,548)	1,099,504	(4,245,261)

20. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- კომპანიის სასესხო ვალდებულება გაიზარდა 2,933,521 ლარით;
- გაიცა დივიდენდი 2,611,564 ლარის ოდენობით.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 9 თებერვალს.

დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე _____





შპს „ლუკა“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ქ. ბათუმი

2022 წელი

შპს „ლუკა“

ს/ნ: 445395796

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2011 წლის მარტში.

იურიდიული მისამართი: ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ. # 112/ მელიქიშვილის ქ.# 98

ფაქტობრივი მისამართი: ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ. # 112/ მელიქიშვილის ქ.# 98

დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე

ტელ: (+995)595332289

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავი II საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები.
6. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
7. თავი VI - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
8. თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

მეორე ფასო პარტნიორებო, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

წარმოგიდგენთ შპს „ლუკა“-ს 2022 წლის ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად. შპს „ლუკა“-ს დირექტორად დანიშნული ვარ 2011 წლის 31 მარტიდან სადამფუძნებო კრების მიერ.

როგორც მოგეხსენებათ, 2011 წელს აუქციონის წესით ქ. ბათუმში, კერძოდ სამრეწველო ზონაში ოპიზრების 67 - ში შევიძინეთ 6 492 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც საკუთარი ძალებით მოვახდინეთ 3854 კვადრატული მეტრი შენობა ნაგებობის აშენება, სადაც განთავსდა საოფისე ფართები და სამრეწველო დანადგარები წარმოების დასაწყებად. კომპანიის თავის დროზე დაფუძნებულ იქნა შპს „ლუკა 2010“ ის მიერ, რომელმაც მოახდინა შპს ლუკა-ს ინვესტირება დანადგარებითა და ფულადი სახსრებით. 2011 წლიდან ჩვენს მიერ შესრულებულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ქ. ბათუმში, პირველებმა მოვახერხეთ ქართული ბაზრისთვის მიგვეწოდებინა საქართველოში შექმნილი პროდუქტი. წარმოების ხაზის განვითარებამ და პარტნიორთა სწორმა მიმართულებამ არ დააყოვნა, დაიწყო კომპანიის საბრუნავი საშუალებების ზრდა, ასევე მნიშვნელოვანი იყო კომპანიისთვის ბანკის მხარდაჭერა, რომელიც ახდენდა ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფას. კომპანიის დამფუძნებლების ძირითადი მიზანია შეექმნათ ადგილობრივი წარმოების პროდუქტები, რომელიც ჯანსაღ კონკურენციას გაუწევს იმპორტირებულ საქონელს. ასევე დიდი როლს თამაშობს საბოლოო მომხმარებლის მხარდაჭერა შესყიდვის საქონლის რეალიზაციის მომენტში, მათთვის ერთგვარად სტიმულია შეიძინონ ადგილობრივი წარმოების პროდუქტი.

კომპანიის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო, შეგვეძინა დანადგარები რომლითაც მოხდებოდა პროდუქციის წარმოება. დამფუძნებლების მხრიდან ყოველთვის არსებობდა მზაობა ინვესტიციები გაგვეხორციელებინა დანადგარებში, რაც ერთობლივ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.

კომპანიისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სავაჭრო წერტილით უზრუნველყოფა, გაზრდილი კონკურენციის ფარგლებში ბაზარზე შესაბამისი სარეალიზაციო წერტილის არსებობა აუცილებელი გახდა, რადგანაც საბოლოო მომხმარებელთან პირდაპირ მოგვეხდინა პროდუქციის მიწოდება. 2014 წელს კომპანიამ ქ. ბათუმში ბაგრატიონის ქ. 112 ში შეიძინა მიწის ნაკვეთი, სადაც ასევე საკუთარი ძალებით მოახდინა კაპიტალური შენობა ნაგებობის ე.წ. „მაღაზია ევროპული სახლის“ სახელის ქვეშ სავაჭრო წერტილის ორგანიზება.

კომპანია "ლუკა" წარმოადგენს გერმანული ბრენდის KNAUF -ის ოფიციალურ პარტნიორს აჭარის რეგიონში. მომხმარებლებს ვთავაზობთ კომპანია კნაუფის მიერ წარმოებულ თაბაშირ-მუყაოს ფილებს, ფითხებს, საშენ მასალებს როგორც საბითუმო, ისე საცალო ფასებში.

კომპანია "ლუკა" აწარმოებს თაბაშირ-მუყაოს ფილის პროფილებისა და აქსესუარების ნაირსახეობას. ასევე კომპანია აწარმოებს მაღალი ხარისხის მოთუთიებულ (გალვანიზირებული, შეღებილი) თუნუქისგან შენობა-ნაგებობების გადასახურ სხვადასხვა სახის (გოფირებული თუნუქი, პროფილირებული ანუ პროფნასტილი, მეტალოკრამიტი, ბრტყელი ნაგლინი) მასალებს და მის აქსესუარებს.

კომპანია "ლუკა" აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული დანადგარებით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამულ დამუშავებას, ეს კი გაძლევთ შესაძლებლობას, შეუკვეთოთ და მიიღოთ თქვენთვის სასურველი პროდუქცია როგორც პროფილის, ასევე გადასახური მასალის.

2016 წლიდან აქტიურად დავიწყეთ ევროპული საშენი და სარემონტო მასალების მწარმოებელი კომპანიებისგან უმაღლესი ხარისხის პროდუქციის იმპორტი, რომელიც მნიშვნელოვნად ფაქტორი იყო კომპანიის შემოსავლებისა და მოგების ზრდისათვის.

კომპანია "ლუკა" სერთიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტ ISO 9001:2015 შესაბამისობაზე.

წარმატებები, რომელიც მიღწეულია დაკავშირებულია საწარმოში მომუშავე პროფესიონალ კადრებთან ,რომლებიც ძალას არ იშურებენ წარმატებისთვის.

2022 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შესძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2022 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, შემსყიდველების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

შპს „ლუკა“-ს

დირექტორი

ბადრი ჩხიკვაძე



თავი I

საქმიანობის ანგარიში

საზოგადოების მართვა

საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

პარტნიორთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს დივიდენდების განაწილების შესახებ, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა თუ საწარმოს ფუნქციონირება დგას რისკის ქვეშ.

პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების წესდებით საზოგადოების წევრს არ აქვს უფლება წილი გაასხვისოს პარტნიორთა თანხმობის გარეშე. ამასთან ერთად „მეწარმეთა შესახებ კანონში“ დამატებული მუხლები წილის გასხვისების უფლებას არ იძლევა თუ ყველა პარტნიორი არ იქნა თანახმა. რის გამოც რამდენიმე პარტნიორს შეეძენა ბარიერი წილის გასხვისებასთან დაკავშირებით. (ორი პარტნიორი გარდაცვლილია და მემკვიდრეობა არ არის აღდგენილი, რამოდენიმე იმყოფება უცხოეთში).

ამასთან დაკავშირებით იგეგმება საკითხის პარტნიორთა კრებაზე განხილვა და წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა:

- პარტნიორს თავისი წილი ან წილის ნაწილი შეეძლება გაასხვისოს ნებისმიერ სხვა პირზე და საზოგადოების პარტნიორები წილის ან წილის ნაწილის შეძენის უპირატესი უფლებით არ ისარგებლებენ.
- პარტნიორის მიერ წილის ან წილის ნაწილის გასხვისებას ან დაგირავებას არ სჭირდება პარტნიორთა კრების თანხმობა.
- წილის (წილის ნაწილის) გასხვისების შემდეგ, შემძენზე გადადის ყოფილი პარტნიორის ყველა უფლება-მოვალეობა.
- პარტნიორის წილი გადადის მემკვიდრეობით და მემკვიდრის (მემკვიდრეთა) მიერ წილის მიღება არ საჭიროებს პარტნიორთა კრების თანხმობას. წილის მემკვიდრე(ები) ხდება (ხდებიან) საზოგადოების პარტნიორ(ებ)ი.

აღნიშნული ცვლილებით პარტნიორის უფლება ექნება თავისი კუთვნილი წილი თავისუფლად განკარგოს

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი.

საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით (2011 წლის 29 მარტი ოქმი #01) 2011 წლის 31 მარტიდან შპს „ლუკა“-ს დირექტორად არჩეულ იქნა ბადრი ჩხიკვაძე დაბადების წელი 1972, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოების 30%-ის მფლობელი.

მართვის სტრუქტურა


საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.

ვატკივებ
დირექტორი

სტრუქტურული სქემა



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ლუკა“ საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. შეკიდული ჭერის პროფილებისა და გადასახური მასალების წარმოება.
2. საცალო და საბითუმო საშენებლო მასალების რეალიზაცია.

თავი II.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;

მიმდინარე გეგმები:

- 2022 წლის ბოლოდან დაწყებული იგეგმება წარმოებული საქონლის ექსპორტად გატანა.

- ახალი ინვესტიციების მოზიდვა

განვითარების რესურსები:

- კომპანიას აქვს შესაბამისი მატერიალური ბაზა პროდუქციის ერთეულის წარმოების გაზრდისთვის
- გვაქვს შესაბამისი ავტომობილები, რომლითაც შესაძლებელია ლოჯისტიკური მიმართულებების ათვისება.
- კომპანიას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.





თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა


საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:

- შეძენილ იქნა პენოპლასტის 3D საჭრელი მოწყობილობა;
 - უ. დ პროფილის დასამზადებელი დანადგარი
 - პენოპლასტის საჭრელი და შესაფუთი მოწყობილობა;
 - ც.დ პროფილის დასამზადებელი დანადგარი;
 - ტრაპეციული სახურავის დასამზადებელი მანქანა დანადგარი;
 - პენოპლასტის გადასამუშავებელი დანადგარი;
 - მინაპლასტიკური არმატურის დასამზადებელი დანადგარი;
 - ცივსაგლინი დგარი ლითონის დამუშავებისთვის;
 - ჩარხი ლითონის პროფილების დასამზადებელი;
 - ლითონის ფურცლოვანი მასალების დასამუშავებელი ჩარხი;
- მნიშვნელოვანია გადაიარაღების მიზნით გატარებული ღონისძიებები. კერძოდ:*
- გაახლდა ავტოპარკი.


საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის ინვენსტიციებს საწარმოში, დასტურად წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას:

1. ბოლო 3 წელში აქტივების ზრდა




ინვესტიციების მოცულობა

1. შემოსავლების დინამიკა 2020 წლიდან 2022 წლის ჩათვლით



2. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2020-2022 წლებში



თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

შპს „ლუკა“ აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კონვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შპს “ლუკა“-ს მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით.

შპს „ლუკა“ ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულე-ბისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

საზოგადოება ასევე ითვალისწინებს იმ მომხმარებლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველთა ჯგუფს და სთავაზობს მათ შეღავათიან ფასებში თავის პროდუქტსა და მომსახურებას.

შპს „ლუკა“-ს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგადოებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

ადამინის უფლებების დაცვა

შპს “ლუკა“ იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.


შპს „ლუკა“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნემისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი V

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშო პერიოდში შეკიდული ჭერის პროფილებისა და გადასახური მასალების წარმოება სახეობების მიხედვით:

დასახელება	2021 წლის ბოლოს არსებული ნაშთი	რეალიზებული ცალი	წარმოებული ცალი
აგრაფი 40 სმ	13253	19289	32910
აგრაფი 7.5 სმ	119220	234870	221134
აგრაფი 12.5 სმ	103675	611066	559359
აგრაფი 20 სმ	25574	180721	208185
მავთული 40 სმ	17100	9139	6600
ც.დ პროფილი	95399	563705	510774
უ.დ პროფილი	82722	465026	434570
შეღებილი ნაგლინის ფურცელი ტრაპეცია	385	547232	547214
ჯამი	457 3328	2 631 048	2 520 746



ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2022 წელს შპს „ლუკას“ მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

N	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერგია	კვ/სთ	79963,2	55104,86
2	ბუნებრივი აირი	მ3	14194	15331,67
3	დიზელის საწვავი	ლიტრი	162261,17	509139,53
4	ბენზინი	ლიტრი	20930,23	56784,78

საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები

2022 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{კრედიტორული დავალიანებები}} = \frac{9\,162\,307}{102\,263} = 89,60$$

2022 წლის ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტები:

$$\text{აქტივების ბრუნვა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{23\,231\,305}{14\,151\,331} = 1,64$$

$$\text{მ. ს. გამოყენების ინტენსივობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მ.ს. ღირებულება}} = \frac{23\,231\,305}{4\,989\,024} = 4,66$$

თავი VI

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი, სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და ვთანამშრომლობთ კომპანიასთან რომელსაც გააჩნია სრული უფლებამოსილება სახიფათო ნარჩენების განადგურების რაც დასტურდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 29.12.2015წელს გაცემული ექსპერტიზის დასკვნა N74 და #1037 ბრძანებით და 16.01.2017წელს გაცემული #000233, MD 1, ნებართვით.

თავი VII

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათანადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს თურქეთიდან რამდენიმე დღეში ჩამოგვაქვს დაზიანებული ნაწილი ან იქ ვახდენთ ნაწილის აღდგენას.
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- ვაზღვევთ ქონებას.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოფას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
- პასუხისმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2024 წლის 9 თებერვალს.

